ახალი ხარაგაული

373 (4) 5 მარტი, 2018 წ.

ძვირფასო ქალბატონებო!

მოგილოცავთ გაზაფხულის შემობრძანებასა და მარტის უმშვენიერეს დღესასწაულებს -დედისა და ქალთა დღეებს!

გისურვებთ ყოველივე ამაღლებულს, რაც შთაგონებითა და შემართებით აღავსებს თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებას.

ოჯახური და საზოგადოებრივი წინსვლა გახარებდეთ და უფლის მადლი გფარავდეთ მუდამ!

პატივისცემით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე

დავით სერგეენკომ იმერეთის რეგიონის წარმომადგენლებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში დაგეგმილი სიახლეები გააცნო

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი დავით სერგეენკო იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულს–გუბერნატორს გივი ჭიჭინაძეს, რეგიონის ხელმძღვანელ პირებს, კლინიკების წარმომადგენლებსა და მუნიციპალიტეტების მერებს შეხვდნენ. შეხვედრაზე იმყოფებოდა მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე, ხარაგაულის სამედიცინო დაწესებულების მენეჯერი შალვა ბიჭიაშვილი და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი შმაგი ხიჯაკაძე.

დავით სერგეენკომ დეტალურად ისაუბრა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მიმდინარეობასა და მედიკამენტების პროგრამაში დაგეგმილ სიახლეებზე, რომელიც ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდასა და მედიკამენტების წრის გაფართოებას გულისხმობს. როგორც აღინიშნა, სოციალურად დაუცველი მოქალაქეები მედიკამენტებს ისევ სიმბოლურ ფასად - 1 ლარად მიიღებენ. პენსიონერები და შშმ პირები კი მნიშვნელოვანი ფასდაკლებით ისარგებლებენ. ერთ-ერთი მთავარი თემა გახლდათ ასევე იმუნიზაციის პროგრამა და ვაქცინაცია. გარდა ამისა, ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა დამსწრე საზოგადოებას ახალი პორტალი (citizen. moh.gov.ge) გააცნეს,, სადაც მოქალაქეებს საყოველთაო დაზღვევით გათვალისწინებული სერვისების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება შეუძლიათ.

მერის ახალი ინიციატივა-ხარაგაულის იერსახის გალამაზება იწყება

„დრო დავიწყოთ ხარაგაულის იერსახის გალამაზება, სასწრაფოდ უნდა აღვრიცხოთ შენობები, რომლებიც მუნიციპალიტეტის ბალანსზეა და დაბის ცენტრალურ ქუჩებს ამახინჯებს. წლევანდელ ბიუჯეტში ჩადებულია გარკვეული თანხა, რაც მოგვცემს იმის საშუალებას, მოვაწესრიგოთ მუნიციპალური შენობების გარე ფასადები, გადავხუროთ მრავალბინიანი კორპუსები. რაც შეეხება ისეთ ნაგებობებს, რომლებიც კერძო და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საკუთრებაშია, უნდა ვეძებოთ გზები და ვაწარმოოთ მოლაპარაკებე-

გაგრძელება ▶ 2 გვ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ თათბირზე საგზაფხულო სამუშაოებთან დაკავშირებულ საკითხებზე იმსჯელა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან თათბირი გამართა და საგაზაფხულო სამუშაოებთან დაკავშირებულ საკითხებზე იმსჯელა. მერის განმარტებით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ხვნა-თესვის კამპანია დროულად დაიწყოს და მოსახლეობას პრობლემები არ შეექმნას. ნიკოლოზ თოფურიძემ სოფლებში არსებული სახნავი სპეცტექნიკების მდგომარეობა მოიკითხა და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი მზადაა, დაზიანებული ტრაქტორები შეაკეთოს.

თათბირზე განხილული იქნა ასევე ფაროსანასთან ბრძოლის მეთოდები, რომლის წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების მიზნით, შექმნილია სამთავრობო კომისია და ადგილობრივ მოსახლეობას დაურიგდება პრეპარატები.

შეხვედრაზე ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებმა დეტალურად ისაუბრეს მათ თემში არსებულ პრობლემებზე. განიხილეს ასევე სასმელი წყლის სათავე-ნაგებობების შეკეთების შესაძლო გზები. მერის განმარტებით, მიმდინარე წელს ყველა სოფელში უნდა მოგვარდეს სასმელი წყლის მიწოდების პრობლემა. თოფურიძემ წარმომადგენლებს ერთი კვირის ვადა მისცა, რათა ეს საკითხი დეტალურად შეისწავლონ და პროექტები წარმოადგინონ.

„სოფელი უნდა იყოს ძლიერი. ამისთვის ჩვენ, ყველამ ერთად, უნდა ვიმოქმედოთ. აუცილებელი და მთავარია გზების რეაბილიტაცია, სასმელი წყლის მოწესრიგება, ხიდ-ბოგირების შეკეთება, გაზიფიცირება, რაზეც აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები“,- აღნიშნა ნიკოლოზ თოფურიძემ.

მერმა სოფლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებაც მოისმინა ინფორმაცია და ხაზგასმით აღნიშნა, რომ წარმომადგენლებმა სისტემატურად უნდა განახორციელონ სარეაბილიტაციო სამუშაოებზე მონიტორინგი, რადგან მშენებლობის ხარისხსა და სწორად შედგენილ პროექტზე მათი პასუხისმგებლობაც დიდია.

ხარაგაულის კლინიკაში ჩვანიმაციული განყოფილება ამოქმედდა

ხარაგაულის სამედიცინო დაწესებულებაში რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის, ნუგზარ ბოლქვაძის, უშუალო ძალისხმევით, რეანიმაციულმა განყოფილებამ დაიწყო ფუნქციონირება. კლინიკის მენეჯერის, შალვა ბიჭიაშვილის, ინფორმაციით, განყოფილება თანამედროვე აპარატურითაა აღჭურვილი და საერთაშორისო სტანდარტის ნორმებს შეესაბამება.

„საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთი საუკეთესო რეანიმაციული განყოფილება გვაქვს, სადაც განთავსებულია მაღალტექნოლოგიური აპარატურა, მათ შორის, სასუნთქი აპარატი და მონიტორული სისტემა, რაც მნიშვნელოვანია პაციენტის სასიცოცხლო პარამეტრების მუდმივი მონიტორინგისათვის“,- აცხადებს კლინიკის მენეჯერი.

შალვა ბიჭიაშვილი მიიჩნევს, რომ რეანიმაციული განყოფილების წარმატებული ფუნქციონირებისთვის კვალიფიციური კადრებია მნიშვნელოვანი და კლინიკის ხელმძღვანელობამ სწორედ დიდი პრაქტიკული გამოცდილების მქონე სპეციალისტებზე შეაჩერა არჩევანი. აღსანიშნავია, რომ ხარაგაულის საავადმყოფოს რეანიმაციული განყოფილების ხელმძღვანელად ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი ვალერიან კავთელაძე დაინიშნა, რომელსაც განათლება ხაბაროვსკის სამედიცინო ინსტიტუტში აქვს მიღებული. მას ოცდაორწლიანი სამუშაო გამოცდილება აქვს მოსკოვის სხვადასხვა კლინიკებში. ამჟამად მუშაობს ქუთაისში 112 -ისა და „ევექსის“ კატასტროფის ცენტრებში. გარდა ამისა, რეანიმაციულ განყოფილებაში პარალელურ რეჟიმში იმუშავებენ მაღალკვალიფიციური რეანიმატოლოგები: ლევან კვატაია, რევაზ კუტალაძე, სოსო სეფაშვილი და გიორგი უგრეხელიძე.

„მინდა, ჩემი წვლილი შევიტანო ხარაგაულის კლინიკის განვითარებაში. აქ ყველა პირობაა იმისათვის, რომ პაციენტმა სრულყოფილი სამედიცინო მომსახურება მიიღოს. დღემდე ხარაგაულელები, რომლებიც საჭიროებდნენ რეანიმაციულ ჰოსპიტალიზაციას, სხვა რაიონებში გადაჰყავდათ. ახლა უკვე ამის საჭიროება აღარაა. პირიქით, შესაძლებლობა გვექნება, ახლომდებარე მუნიციპალიტეტებსაც გავუწიოთ მაღალი ხარისხის მომსახურება.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

მერის ახალი ინიციატივა-ხარაგაულის იერსახის გალამაზება იწყება

დასაწყისი ▶ 1 გვ.

ბი, თუ როგორ ან რა ფორმით მოვაწესრიგოთ ისინი," - ამის შესახებ ხარაგაულის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ დაბაში მერის წარმომადგენელ ბაქარ ბარბაქაძესთან, მაჟორიტარ დეპუტატ პაატა გოგოლაძესთან, კეთილმოწყობის სამსახურის უფროს დავით ლაცაბიძესთან და მერიის შესაბამისი სამსახურების უფროსებთან იმსჯელა.

ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსის, თემური თაბუკაშვილის განმარტებით, დაბაში არსებული კორპუსების გარე ფასადებისა და სადარბაზოების მოწესრიგების მიზნით, მერია გეგმავს, აქტიურად ითანამშრომლოს კორპუსების „ამხანაგობებთან" და მოლაპარაკების შედეგად, შესაძლოა, ეს პრობლემა „ამხანაგობისა" და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით გადაიჭრას.

ხარაგაულის მერი აღნიშნავს, რომ უსაფრთხოების ზომების დაცვის მიზნით, უნდა მოხდეს ფასადების დათვალიერება და შემოწმდეს შემინული შენობები, რათა თავიდან ავიცილოთ უნებლიე შემთხვევები. „ინფრასტრუქტურის სამინისტროდან მივიღეთ კონკრეტული რეკომენდაციები და შენობები, რომელიც ამორტიზებულია და დანგრევას ექვემდებარება, უნდა დაინგრეს და ტერიტორია დასუფთავდეს." - მიმართა ხარაგაულის მერმა სამსახურის უფროსებს.

ნიკოლოზ თოფურიძის ინფორმაციით, პირველ რიგში, უნდა მოხდეს ტურისტულად აქტიური ზონების მოწესრიგება და ხარაგაულისთვის სავიზიტო ბარათად წოდებული „დევების" რეკონსტრუქციის სამუშაოები მიმდინარე წელს აუცილებლად განხორციელდება.

ეკა შავიძე

საკადრო ცვლილებები ხარაგაულის მუნიციპალიტეტში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ თოფურიძის, ბრძანების თანახმად, არქიტექტურისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსად აფრასიონ ლურსმანაშვილი დაინიშნა, რომელიც ამ დრომდე ამავე სამსახურში პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გახლდათ. მას დამთავრებული აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი. 2010 - 2014 წწ მუშაობდა სამშენებლო ფირმაში სხვადასხვა პოზიციაზე, 2014- 2016 წწ კი-სამშენებლო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე.

ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის ყოფილი უფროსი, თემური თაბუკაშვილი, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსად განაგრძობს საქმიანობას. აღნიშნული თანამდებობა ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც მალხაზ ფხალაძე საკრებულოში დეპუტატად აირჩა. ბატონ თემურის დამთავრებული აქვს „აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემია" არქიტექტორის სპეციალობით. ამავე აკადემიაში მიიღო სამაგისტრო განათლება სამოქალაქო არქიტექტურის მიმართულებით.

რაც შეეხება, მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურს გიორგი ჭყოიძე უხელმძღვანელებს. იგი ამ დრომდე აუდიტის სამსახურში მეორე კატეგორიის უმცროს სპეციალისტად მუშაობდა.მას დამთავრებული აქვს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების (საბანკო-საფინანსო საქმე) ფაკულტეტი, ფინანსისტის სპეციალობით. აღსანიშნავია, რომ გიორგიმ სკოლა ოქროს მედალზე დაასრულა და უნივერსიტეტში 100%-იანი გრანტით ჩაირიცხა. იგი გახლდათ ა/ო-ს გამგეობის წევრი და ხელმძღვანელობდა საფინანსო-საორგანიზაციო მიმართულებებს. 2014-2015 წწ გაიარა სტაჟირება ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტში. 2015 წელს მუშაობდა ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროში ფინანსისტად. 2015-2016 წწ გახლდათ მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომელი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში. წარმატებით აქვს გავლილი შესაბამისი ტრენინგები და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები.

მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ ახალი სამსახურის უფროსები თანამშრომლებს პირადად წარუდგინა და ახალგაზრდებს ნაყოფიერი საქმიანობა უსურვა.

„წარმატებებს გისურვებთ ჩვენი ქვეყნისა და მოსახლეობის საკეთილღეოდ. ახალგაზრდების ჩართვა ხელისუფლებაში არის სწორად შერჩეული სტრატეგია ეკონომიკურად და ფინანსურად ძლიერი, დემოკრატიული, განვითარებული სახელმწიფოს შესაქმნელად. დარწმუნებული ვარ, ეს ახალგაზრდები ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებენ ხარაგაულის უკეთესი მომავლისათვის. მოგეხსენებათ, ცვლილებების მიზანია, უფრო მოქნილი და ეფექტიანი გახდეს ხელისუფლება ადგილობრივ თვითმმართველობაში და ამის შედეგს მომავალში არაერთხელ დავინახავთ!"- დასძინა ნიკოლოზ თოფურიძემ.

ეკა შავიძე

მაღალმთიანი დასახლების ნუსხას ზვარე, ჩრდილი და გედსამანია დაემატა

ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის, კობა ლურსმანაშვილის, აქტიური მუშაობით, მუნიციპალიტეტის სამ სოფელს (ზვარე, ჩრდილი, გედსამანია) მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭა. ამ საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მთის განვითარების საბჭომ 27 თებერვალს მიიღო.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული სტატუსი ენიჭება ისეთ დასახლებას, რომელიც ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე ან მის ზევით მდებარეობს. საქართველოს მთავრობა უფლებამოსილია, სხვადასხვა კრიტერიუმის გათვალისწინებით, მაღალმთიანი დასახლების სტატუსი ასევე ზღვის დონიდან არანაკლებ 800 მეტრის სიმაღლეზე მდებარე სოფლებსაც მიანიჭოს.

აღსანიშნავია, რომ მაღალმთიანი დასახლებებისთვის სხვადასხვა შეღავათებია გათვალისწინებული. კერძოდ:

გასული წლიდან დაიწყო ყოველთვიური ფულადი დახმარების გაცემა იმ ბავშვებზე, რომელთა ერთ-ერთი მშობელი არის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირი.

სოციალური დახმარების სახით დანამატი გაიცემა პენსიონერებისთვის პენსიის 20%-ის ოდენობით. დაახლოებით 1 მილიონი ლარით დაფინანსდა სოციალური პაკეტის 20%-ის დანამატი, რაც მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ სოციალური პაკეტის მიმღებ პირებზე გაიცემა.

შეღავათებით სარგებლობენ ასევე სხვადასხვა პროფესიის ადამიანები და ბიზნესის დაწყების მსურველები. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯია იმისთვის, რომ რაც შეიძლება მეტ ადამიანს გაუჩნდეს მთაში დასახლების ინტერესი.

შეგახსენებთ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მაღალმთიანი დასახლების სტატუსით აქამდე შვიდი სოფელი (ნუნისი, პატარა სახვლარი, გოლისი, გოლათუბანი, გუდათუბანი, წიფა და ფონა) სარგებლობდა.

ლელა გუგულაშვილი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ხევი – არგვეთის ახალი საავტომობილო გზის პროექტზე იმსჯელეს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში წევა -ბორითი და ბორითი-ხევის გზის მშენებლობის საკითხი და გარემოზე ზემოქმედების ანგარიში განიხილეს. ახალი საავტომობილო გზის პროექტის საჯარო განხილვას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე, საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში „გამაკონსალტინგის" გარემოს დაცვის სპეციალისტმა მაკა სტამატელმა წარმოადგინა. მან გვირაბებისა და ხიდების მშენებლობის პროცესში შესაძლო რისკ-ფაქტორებზე ისაუბრა, რომელიც აფეთქებების დროს წარმოიქმნება. მისივე ინფორმაციით, სულ 22 გვირაბის მშენებლობა იგეგმება.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ თოფურიძის, განმარტებით, საავტომობილო გზის მშენებლობის პროცესში ყველა დეტალი უნდა იყოს გათვალისწინებული, ასევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფლორასა და ფაუნას. „გარემოს დაცვის საკითხები მნიშვნელოვანია. მშენებლობის პროცესში ვერ დავუშვებთ, რომელიმე ცოცხალ ორგანიზმს საფრთხე შეექმნას. გასათვალისწინებელია ასევე, რომ მიწისქვეშა და ნაჟურ წყლებს გასასვლელი დავუტოვოთ". -დასძინა მერმა.

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ჯაბა ბერაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშენებლობის პროცესში ნარჩენების განთავსების საკითხს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს და თავიდანვე უნდა ვიცოდეთ, სად განთავსდება ფუჭი ქანები.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძემ ისტორიულ ძეგლებზე გაამახვილა ყურადღება და განმარტა, რომ გზის მშენებლობის პროცესში მათზე რაიმე ზემოქმედება არ უნდა მოხდეს.

შეხვედრის დასასრულს აღინიშნა, რომ პროექტი საბოლოო არაა და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი შენიშვნები აუცილებლად იქნება გათვალისწინებული.

აღსანიშნავია, რომ რიკოთის უღელტეხილის მონაკვეთის მოდერნიზებას საქართველოს მთავრობა საგზაო ქსელის განვითარებისა და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის კუთხით ახორციელებს. აღნიშნული მონაკვეთის მშენებლობა ხელს შეუწყობს ჩქაროსნული გზის გამტარუნარიანობის გაზრდას, ავტოტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების დონის ამაღლებას, სატრანზიტო ტვირთბრუნვის გაზრდასა და მგზავრობის დროის შემცირებას.

ეკა შავიძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ საჯარო მოხელეებს სერტიფიკატები გადასცა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ თოფურიძის, ინიციატივით, საჯარო მოხელეებისთვის ტრენინგები ჩატარდა. პირველ ეტაპზე გადამზადების კურსები მერიის სამსახურებისა და განყოფილებების უფროსებმა გაიარეს, რომლებსაც სერტიფიკატები მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ პირადად გადასცა.

ლიდერობა, კონფლიქტების მართვა, გუნდური მუშაობის პრინციპი, ეფექტური კომუნიკაცია, ადამიანის უფლებები, დროის მენეჯმენტი და პროექტის ციკლის მართვა - ეს ის თემებია, რომლებზეც საჯარო მოხელეებს მოწვეულმა სერტიფიცირებულმა ტრენერებმა მარიამ ზაქარაიამ და ნანა გოგოხიამ ტრენინგები ჩაუტარეს.

შემდეგი ჯგუფი, რომელიც აღნიშნულ საკითხებს გადის, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებისგან დაკომპლექტდა. მათთვის ტრენინგები სამი მარტიდან დაიწყო.

ბალეების გაერთიანების თანამშრომლებს უფასო სამედიცინო აქცია ჩაუტარდათ

ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებაში უფასო სამედიცინო აქცია ჩატარდა. აქცია ამავე გაერთიანების დირექტორის მამუკა ჭიპაშვილის, ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის, შმაგი ხიჯაკაძის, ინიციატივითა და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული ცენტრის იმერეთის სამმართველოს მხარდაჭერით განხორციელდა.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის იმერეთის სამმართველოს უფროსის, გოჩა გიორგიძის, ინფორმაციით, აქციის ფარგლებში გაერთიანების თანამშრომლებს პროფილაქტიკური შემოწმება და პრევენციული სკრინინგი ჩაუტარდათ: C ჰეპატიტზე, აივ ინფექცია „შიდსზე," ტუბერკულოზზე, კანის დაავადებების ანამნეზურ სკრინინგსა და ჰიპერტონიაზე. დაინტერესებულ პირებს ასევე შესაძლებლობა ჰქონდათ, ოფთალმოლოგისა და ოტო-რინო-ლარინგოლოგის კონსულტაციაც მიეღოთ. პაციენტებს მომსახურებას კლინიკა „გიდის" ექიმები უწევდნენ.

უფასო სამედიცინო აქციის მიმდინარეობას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე ადგილზე გაეცნო და აქციის ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადა. „რაიონიდან გაუსვლელად, ასეთი სახის უფასო გამოკვლევების ჩატარება დიდი შვება და დახმარებაა ჩვენი მოსახლეობისთვის. ხარაგაულის მერია ასეთი ტიპის ღონისძიებებს ყოველთვის მხარს დაუჭერს და ვიმედოვნებ,, რომ უფასო გამოკვლევები მუნიციპალიტეტში მომავალშიც ჩატარდება,"- აღნიშნა ნიკოლოზ თოფურიძემ.

თამარ მაღრაძე

მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ მე-3 საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა დაათვალიერა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ დაბის მე-3 საჯარო სკოლის დირექტორთან, მარინე ხვედელიძესთან, ერთად, სკოლის ინფრასტრუქტურა დაათვალიერა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსს, თემური თაბუკაშვილს, სკოლის სრული რეაბილიტაციისთვის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება დაავალა.

„ახლა, როცა მერიასა და განათლების სამინისტროს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, საშუალება მოგვეცა, ინფრასტრუქტურის მხრივ დავიწყოთ საჯარო სკოლების მოწესრიგება. არაერთი ამორტიზებული სკოლაა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში. მერიის შესაბამისი სამსახური ყველა სასწავლო დაწესებულებაში ადგილზე შეისწავლის შექმნილ მდგომარეობას. განისაზღვრება პრიორიტეტები, გადაეგზავნება სამინისტროს და ეტაპობრივად დაიწყება სკოლების რეაბილიტაცია", - აღნიშნა ნიკოლოზ თოფურიძემ.

თემური თაბუკაშვილი განმარტავს, რომ, პირველ რიგში, კრიტერიუმების შესაბამისად, ყურადღება მიექცევა და დაფინანსდება იმ სკოლების რეაბილიტაცია, რომელთაც აქვთ ამორტიზებული სახურავი, არ გააჩნიათ სველი წერტილები, ან შენობა თავიდან არის ასაშენებელი.

საჯარეიის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღი დაიწყებს ფუნქციონირებას

განათლების სფერო რომ ხელისუფლებისათვის პრიორიტეტია, ეს ყველასათვის ცნობილია. განსაკუთრებული ყურადღეებაა საჭირო სასკოლო ასაკამდე მოზარდის სულის სწორად ფორმირებისათვის. საამაყოა, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებში ამ მხრივ ნამდვილად კარგი მდგომარეობაა, თუმცა ამას ვერ ვიტყვით სარგვეშის ადმინისტრაციულ ერთეულზე. აქ, ფაქტობრივად, საბავშვო ბაღი არასდროს ყოფილა. მას შემდეგ, რაც თემის მაჟორიტარ დეპუტატად რუსუდან გიორგაძე აირჩიეს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მუშაობა აქტიურად დაიწყო. სწორედ მისი უშუალო ძალისხმევით, სოფელში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გახსნა იგეგმება. როგორც ცნობილია, ამჯერად ბაღი სარგვეშის საჯარო სკოლის შენობაში განთავსდება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ აღნიშნულთან დაკავშირებით მზაობა უკვე გამოთქვა და ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრს ოფიციალური წერილი გაუგზავნა, რომელშიც ვკითხულობთ, რომ სამინისტრო თანახმაა იჯარის წესით გასცეს 70 კვ.მ ფართი საბავშვო ბაღის ფუნქციონირებისათვის.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ყველა ხარჯს(მასწავლებლის ხელფასი, კვება, შენობის მოწესრიგება და ინვენტარით აღჭურვა) სარგვეშის თემის მაჟორიტარი დეპუტატი და ამავდროულად საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რუსუდან გიორგაძე პირადი სახსრებიდან გაიღებს. გარდა ამისა, დღეში ერთჯერ დაგეგმილია სკოლის ბავშვებისა და პედაგოგების უფასო კვება.

„ჩემთვის ნამდვილად ერთ-ერთი საამაყო პროექტია. ვფიქრობ, ძალიან ბევრ პატარას გავახარებთ. შენობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღიჭურვება, მოეწყობა სათამაშო ოთახი, სამზარეულო და საძინებელი. რაც შეეხება კადრებს, ბაღი კვალიფიციური პერსონალით დაკომპლექტდება." -აღნიშნა ქალბატონმა რუსუდანმა.

ეკა შავიძე

ახალი კადრები ხარაგაულის მერიაში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ ხუთ ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლების თანამდებობაზე ახალი კადრები დანიშნა.

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით, დაბის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის პოზიციაზე ბაქარ ბარბაქაძე დაინიშნა; სარგვეშის ადმინისტრაციულ ერთეულში - ჯემალ კალანდაძე; ფარცხნალის ადმინისტრაციულ ერთეულში - კონსტანტინე ხარაძე; ხიდრის ადმინისტრაციულ ერთეულში - კონსტანტინე ბერაძე; ვახანის ადმინისტრაციულ ერთეულში - გრიგოლ სებისკვერაძე;

დანიშნენ, ასევე წარმომადგენლის ასისტენტები:

წიფის ადმინისტრაციულ ერთეულში - სპარტაკ ღამბაშიძე;

ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში -ბადრი ბარბაქაძე და ზურაბ ბარბაქაძე;

ღორეშის ადმინისტრაციულ ერთეულში - ივერი სულაქველიძე;

კიცხის ადმინისტრაციულ ერთეულში -პაატა ჩხიკვაძე;

ვახანის ადმინისტრაციულ ერთეულში -მაია ბერძული;

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით, ახალი კადრები შეირჩნენ, შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურში. პირველი კატეგორიის უმცროს სპეციალისტად როინ გელაშვილი დაინიშნა, ხოლო მეორე კატეგორიის უმცროს სპეციალისტად -ნანა ხიჯაკაძე. რაც შეეხება ადმინისტრაციული სამსახურის მეორე კატეგორიის უმცროს სპეციალისტს, საარქივო საკითხებში, სოფიო ტაბატაძე შეირჩა. გარდა ამისა, ვაკანტური იყო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწის თანამდებობა, რომელზეც შალვა ბენდიაშვილი დაინიშნა.

„რაც მაღალია და დიადია..."

ის დღეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსია. ასეთ საპასუხისმგებლო მისიას თავს ვერ გაართმევ, თუ უფალი არ გწინამძღვრობს იმ დიდი მადლით, რომელსაც ადამიანის სიყვარული ჰქვია... და, რაც მთავარია, თუ ბავშვობიდანვე არ იზრდები ისეთ გარემოში, რომელშიც ამ გრძნობას სხვადასხვა ასპექტით ავლენდნენ შენი წინაპრები, შემდეგ მშობლები, ახლობლები...

ზემოთ აღნიშნული სამსახურის უფროსი ნანა კიკნაძე სწორედ ასეთ კერაზე გაიზარდა. წიგნის სიყვარული, ცოდნისაკენ სწრაფვა, უფროსებისადმი მოკრძალება და პატივისცემა - ამ შთაგონებით ასაზრდოებდნენ ნანასა და მისი ძმების გონებას მშობლები, სოფო და ლევან (ბრუსკი) კიკნაძეები. წლების შემდეგ კი უფლის მიერ ნაჩვენებმა გზამ ნანა კიკნაძე რძლად შეიყვანა ისეთ ოჯახში, რომლისთვისაც მხოლოდ ქართული და ტრადიციული იყო მისაღები და სათაყვანო...

პავლე თავზარაშვილისა და ნელი ალავიძის ოჯახი ღირსებით რომ გამორჩეული იყო, ეს არაა გასაკვირი, რადგან მისი ცხოვრება იმ კალაპოტში მიედინებოდა, რომელიც ჭკუასაკითხავი მესაჭის, ვლადიმერ (ლადიკო) თავზარაშვილის, მიერ იყო გაკვალული...

რამდენიმე დეტალი ნანა კიკნაძის ცხოვრებიდან...

რკინიგზის მეათე საშუალო (ამჟამად მესამე საჯარო) სკოლა. მერხთან ზის ცოდნის წყურვილით გულანთებული გოგონა, რომელმაც ის-ის იყო, ინტერესით შეისწავლა ასომთავრული ანბანი, შემდეგ კი ქართული ჰაგიოგრაფიის საძირკველს- „შუშანიკის წამებას" -დაეუფლა. ლიტერატურის წრის მეცადინეობაზე მოკრძალებით გამოხატა სურვილი, რომ ასომთავრულით დაეწერა „შუშანიკის წამების" სრული ტექსტი. მოსწავლის რუდუნებით შრომას სათანადო შედეგი მოჰყვა- ჯერ მოსწავლეთა რესპუბლიკურ კონფერენციაში გაიმარჯვა, ხოლო შემდეგ- ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ გამოცხადებულ ნორჩ კალიგრაფისტთა კონკურსში...

***

სკოლის დამთავრების შემდეგ ცოდნისა და შრომის მადლით ლაღად მიაბიჯებს ნათელი გზებით: ამთავრებს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტს, მუშაობას იწყებს თბილისის გამთიშველების ქარხნის ხარაგაულის ფილიალში ნორმადარად, მომდევნო ცხრა წელი მერიის საფინანსო განყოფილებაში მუშაობამ მიითვალა, ხოლო ერთი წელი - შესყიდვების სამსახურის უფროსის თანამდებობამ.

2014 წლიდან დღემდე ხარაგაულის მერიაში ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურს ხელმძღვანელობს.

-ჩვენი სამსახურის უმთავრესი მიზანია, როგორმე უკეთესი გახდეს ადამიანთა ყოფა, ვცდილობთ, არსებული ბიუჯეტის ფარგლებში მაქსიმალურად მოვიცვათ ყველა სფერო. ყოველდღიურ რეჟიმში გვიწევს მოქალაქეებთან ურთიერთობა. ვიცით, რომ სიკეთე დიდი მადლია, მაგრამ სურვილს ხშირად ვერ აკმაყოფილებს შესაძლებლობები." - აცხადებს ჩვენთან საუბარში ქალბატონი ნანა.

***

რასაკვირველია, ქალი უპირველესად მაინც მეუღლედ, დედად და ოჯახის დედაბოძად მოიაზრება, საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად ჩართულ ქალბატონ ნანას სრულყოფილად აქვს შეთვისებული ეს უპირველესი მოვალეობა...

თბილისის გამთიშველების ქარხნის ხარაგაულის ფილიალში მუშაობის დროს შეხვდა ნანა კიკნაძე ცხოვრების ერთგულ თანამგზავრს, გია თავზარაშვილს(იმჟამად ქარხნის ინსტრუმენტალური მეურნეობის ბიუროს უფროსი, დღეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების" თავმჯდომარე). ეროვნულ მოძრაობაში გარიჟრაჟიდანვე ჩაბმულმა ჭაბუკმა საკუთარ მისწრაფებებს აზიარა გულის სწორიც...

... შემდეგ კი, როცა საავადმყოფოში სარეცელზე მიჯაჭვულ გიას მამას, მეტყველების უნარდაკარგულ პავლე თავზარაშვილს, მეუღლე ნელი ალავიძემ აცნობა გიას ნანასთან დაწყვილების ამბავი, შენიშნა, რომ ავადმყოფს ფერდაკარგული სახე გაუნათდა და სიხარულის კურცხლები გადმოსცვივდა თვალთაგან ...

ეს იყო ალბათ წინასწარი აღქმა ავადმყოფისაგან იმ ბედნიერებისა, რასაც ოჯახი ეზიარებოდა ახალი წევრით...

ნანამ გიასთან ერთად გაუძლო ყველა იმ წნეხს, რაც ქვეყანაში თავისუფალი ცხოვრების დამკვიდრებას თან ახლდა. გაუძლო სიყვარულის იმ დიდი ძალით, რაც მათ გულებს აკავშირებდა.

დღეს სამი შვილის დედა, უკვე დედამთილი და ბედნიერი ბებიაა. ვაჟმა, ბაბუის სეხნია პავლე (პაკო) თავზარაშვილმა („ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს" ხარაგაულის ორგანიზაციის აღმასრულებელი მდივანი), ჟურნალისტ გვანცა გორჯოლაძეს დაუკავშირა ცხოვრება. მულებმა - ანამ და ელენემ გვანცას სახით საყვარელი და შეიძინეს. ოჯახის დიდი სიხარული, პირველი შვილიშვილი გიორგი თავზარაშვილი, მალე ძამიკოს ელოდება...

ქალბატონო ნანა!

გილოცავთ დედისა და ქალის უმშვენიერეს დღესასწაულებს და გვახარებს, რომ იზრდება და ძლიერდება თავზარაშვილთა ლამაზი კერა და თქვენი დედობრივი ძალით ესწრაფვის მას:

„რაც მაღალია და დიადია,
რაც სპეტაკია და ქართულია!"

მერი გიორგიძე

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ Ა(Ა) ᲘᲞ- ᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲘᲒᲔᲒᲛᲔᲑᲐ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ა(ა) იპ - ების რეორგანიზაცია იგეგმება. ამის შესახებ დეპუტატებმა 20 თებერვალს გამართულ ბიუროს სხდომაზე იმსჯელეს. საკითხი მათ მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა კახაბერ გოლუბიანმა გააცნო.

როგორც აღინიშნა, შესაძლებელია, მოხდეს შემდეგი ა(ა)იპ-ების ოპტიმიზაცია:

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება, სამუსიკო სკოლა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი;

„სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრი“, საფეხბურთო კლუბი „ჩხერიმელა - 2009“ და „ტურიზმის ცენტრი“;

ისტორიული მუზეუმი, ცენტრალური ბიბლიოთეკა, კულტურის ცენტრი, რეზო თაბუკაშვილის სახელობის ლიტერატურული თეატრი და ხალხური შემოქმედების სახლი;

„ხარაგაულკეთილმოწყობა“ და „ხარაგაულდასუფთავება“;

ბიუროს სხომაზე დეპუტატთა მხრიდან დასმული იყო რიგი შეკითხვები, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე პასუხობდა.

დეპუტატების კითხვებზე -გამოიწვევს თუ არა ა(ა)იპ-ების ოპტიმიცაზია თანამშრომელთა შემცირებას- ხარაგაულის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ განმარტა, რომ რეორგანიზაციის პროცესი არ გულისხმობს თანამშრომლების მასობრივ დათხოვნას, თუმცა კადრების გადახალისება პერიოდულად აუცილებელია.

მისივე თქმით, სახელმწიფოს პოლიტიკაა, მაქსიმალურად გაკონტროლდეს და შემცირდეს ბიუროკრატიული ხარჯები. „ნებისმიერ სფეროში ეფექტიანი მუშაობა ნიშნავს საქმის ისე კეთებას, რომ ხარჯი სარგებელზე ნაკლები იყოს. ცვლილებების მიზანი ყველა რგოლის ეფექტიანი მუშაობაა“, - აღნიშნა ხარაგაულის მერმა.

საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი მიიჩნევს, რომ რეორგანიზაციის პროცესი რთულია, მაგრამ აუცილებელი. მისივე თქმით, ყოველივე სამართლიან რეჟიმში უნდა წარიმართოს და ნაკლებად უნდა დაზარალდნენ რიგითი თანამშრომლები.

მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ თოფურიძის, განმარტებით, „გაერთიანებულ ა(ა)იპ-ებს ერთი დირექტორი ეყოლება, ხოლო სფეროებს დირექტორის მოადგილეები უხელმძღვანელებენ. ექნებათ საკუთარი ბიუჯეტი და თავად გადაწყვეტენ, ჩამოაყალიბონ კომპეტენტური ადგილობრივი მენეჯმენტი, რომლითაც მოქალაქეებისთვის ხარისხიანი სერვისების მიწოდებას შეძლებენ.“

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების სტრუქტურული ცვლილებების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას 5 მარტს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე მიიღებენ.

თამარ მაღრაძე

საჯარო სკოლის პედაგოგებისათვის უფასო სამედიცინო აქცია ჩატარდა

მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის (უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თინათინ ბოჭორიშვილი), საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციისა (თავმჯდომარე ლალი სებისკვერაძე) და ხარაგაულის რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის (მენეჯერი შალვა ბიჭიაშვილი) ინიციატივით პირველ მარტს, საგანმანათლებლო რესურსცენტრში უფასო სამედიცინო აქცია გაიმართა. აქციის ფარგლებში სხვადასხვა პროფილის მაღალკვალიფიციური ექიმები (კარდიოლოგი, ენდოკრინოლოგი, ოფთალმოლოგი, ქირურგი, თერაპევტი) დაბის, ლაშისა და საღანძილის საჯარო სკოლების პედაგოგებს მოემსახურნენ. საჭიროებისამებრ, მათ ასევე ჩაუტარდათ ლაბორატორიული გამოკვლევები.

როგორც ჩვენთან საუბარში ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე ლალი სებისკვერაძე განმარტავს, აქცია ერთჯერადი არაა და მომავალშიც დაიგეგმება.

„პედაგოგებს საკმაოდ დატვირთული სამუშაო რეჟიმი აქვთ და ხშირ შემთხვევაში ვერ ახერხებენ ექიმთან მისვლას. ვფიქრობ, ეს აქცია მათთვის მნიშვნელოვანია. დიდი მადლობა ხარაგაულის კლინიკის კოლექტივს, რომლებიც გვერდში დაგვიდგნენ და არ დაზოგეს საკუთარი შესაძლებლობები კეთილი საქმის გასაკეთებლად.“ - აღნიშნა ქალბატონმა ლალიმ.

ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლის პედაგოგი ვენერა კიკნაძე კმაყოფილია გამოკვლევებით და მაღალკვალიფიციური მომსახურებისთვის მადლობას უხდის მედპერსონალს.

„რამდენიმე პროფილის ექიმთან გავიარე კონსულტაცია, გავიკეთე ლაბორატორიული გამოკვლევებიც. მისასალმებელია, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს მსგავს აქტივობებს და ზრუნავს მოსახლეობის ჯანმრთელობაზე,“ - დასძინა ვენერა კიკნაძემ.

ლელა გუგულაშვილი

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲤᲠᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲘᲠᲩᲜᲔᲜ

20 თებერვალს გამართულ ბიუროს სხდომაზე საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის მიერ წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე ბიუროს წევრებმა ცნობად მიიღეს ინფორმაცია ფრაქციების თავმჯდომარეთა მოადგილეების არჩევის შესახებ. საკითხი კომისიის თავმჯდომარემ ოთარ ლურსმანაშვილმა წარმოადგინა. მისი ინფორმაციით, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე პაატა გოგოლაძეს ორი მოადგილე, შალვა ლურსმანაშვილი და ნონა ზურაბიანი ეყოლება, ხოლო ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილედ აკაკი ლურსმანაშვილი აირჩ, რაც შეეხება „ქართული ოცნება - მრეწველების“ თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობას, გივი ხიჯაკაძე დაიკავებს.

საკრებულოს ახალი თანამდებობის პირთა ანაზღაურება 1100 ლარით განისაზღვრა.

ᲛᲐᲠᲢᲝᲮᲔᲚᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ

2 მარტს ხარაგაულის კინოთეატრში მარტოხელა მშობლებთან შეხვედრა გაიმართა. შეხვედრა სპეციალურად ამ დღისათვის მოწყობილი ფოტოგამოფენის ფონზე წარიმართა, რომელიც მარტოხელა დედებისა და მამების რეალურ ისტორიებს ასახავდა. საკუთარ ცხოვრებაზე, განვლილ სირთულეებსა და წარმატების მიღწევის გზებზე ისაუბრა ა/ო „ადამიანის უფლებების განვითარების ფონდის“ მიერ მოწვეულმა უფლებადამცველმა, ლია მუხაშავრიამ, რომელიც ამავდროულად მარტოხელა დედაა.

აღსანიშნავია, რომ ეს ორგანიზაცია თითქმის წელიწადნახევარია მარტოხელა მშობლების უფლებების ადვოკატირების პროექტს ახორციელებს და იურიდიულ კონსულტაციებს უწევს მათ. მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ ამ ფონდის რეკომენდაციის შედეგად ხარაგაულის მერიის სოციალურმა სამსახურმა (უფროსი ნანა კიკნაძე), სოციალურ პროგრამებში მარტოხელა მშობლებისათვის ერთჯერადი ფინანსური დახმარების სახით 200 ლარი გაითვალისწინა.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. დამსწრე საზოგადოებამ მათთვის საინტერესო საკითხებზე ამომწურავი პასუხები მიიღეს ფონდის წამომადგენლების: ქეთევან ღვედაშვილისა და იურისტ სოფო ალექსიძისაგან.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნული ღონისძიება საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოსა და მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით გაიმართა. შეხვედრის ინიციატორი მერის თანაშემწე გენდერულ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში ინგა ბერაძე გახლდათ.

„ხშირად გვესმის, რომ ბიუჯეტი უნდა იყოს გენდერულად მგრძნობიარე, რაც მოიაზრებს იმას, რომ სოციალური პროგრამები საზოგადოების ყველა სეგმენტისთვის და მოწყვლადი ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი იყოს. მარტოხელა დედები ერთ-ერთი ასეთი ჯგუფია. დღევანდელი შეხვედრა საინფორმაციო ხასიათის იყო. ძირითადი შეკითხვები სტატუსის მიღებას ეხებოდა, რაც დღევანდელი კანონით თუ ბავშვის დაბადების მოწმობაში მამის გრაფა ცარიელი არაა რთულია მიიღო. ა/ო ,,ადამიანის უფლებათა განვითარების ფონდი„ მუშაობს, რომ გაფართოვდეს მარტოხელა დედის სტატუსის გაგება და ის მარჩენალ დაკარგულ, ქმარგაცილებულ და ყველა დედას მოიცავდეს, რომელიც ბავშვს მარტო ზრდის. ეს ადამიანები ჩვენი საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილია და გვმართებს მათზე ზრუნვა. ვფიქრობ, სამომავლოდ უფრო მეტად შევძლებთ ბიუჯეტში მათი საჭიროებების ასახვას,“- განმარტა ინგა ბერაძემ.

თამარ მაღრაძე

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ, ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘ!

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიამ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით ელექტრონული აუქციონი გამოაცხადა.

წინასწარი შესატანი „ბე“-ს ოდენობა საწყისი საპრივატიზაციო საფასურის 10%-ია;

„ბიჯი“-საწყისი საპრივატიზაციო საფასურის- 10%.

საპრვატიზაციო ობიექტებია:

სოფელ წყალაფორეთში მდებარე შენობა-ნაგებობა (ობიექტის საწყისი ღირებულება 1000 ლარი);

სოფელ ლაშეში ყოფილი კლუბ -კანტორის შენობა-ნაგებობა(ობიექტის საწყისი ღირებულება -6000 ლარი);

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე არსებული ავტომანქანა IVEKO DAILY 30-8, N GGT-196 (საწყისი ღირებულება-2000 ლარი);

სოფელ წყალაფორეთში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (საწყისი საპრივატიზაციო ღირებულება-1600 ლარი);

სოფელ ხორითში არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართი და მასზე მდგარი შენობა-ნაგებობა (საპრივატიზაციო ღირებულება 2700 ლარი);

სოფელ მარელისში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (საპრივატიზაციო ღირებულება 620 ლარი);

სოფელ მარელისში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა (საპრივატიზაციო ღირებულება 275 ლარი);

განმეორებითი აუქციონი ცხადდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარით გაცემის შესახებ. კერძოდ:

სოფელ ხიდარში სარიტუალო დარბაზი (წლიური საიჯარო თანხა -2826 ლარი);

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოლომონ მეფის ქუჩა N92 -ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (წლიური საიჯარო თანხა 672 ლარი);

აუქციონი პირველ მარტს დაიწყო და 12-15 მარტს დასრულდება.

შეგახსენებთ, რომ აღნიშნულის შესახებ დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე (eauction.ge).

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

კარგა ხანია, რაც საქართველოში ამერიკული კომპანია „იდეების განვითარების ფონდი“ (ZIDF) შეიქნა, რომლის ძირითადი მიზანია სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, განათლების, სპორტისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობა. პირველ ეტაპზე გრანტის მიღების მსურველმა უნდა შეავსოს განცხადება და წარადგინოს ბიზნესგეგმა.

არასამთავრობო ორგანიზაციის კოორდინატორი ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ქ-ნი მანანა ტაბაშიძე აცხადებს, რომ მცირე გრანტები, დაახლოებით, 200$- დან 20 000 $ -მდე გაიცემა და მეწარმის მხრიდან თანამონაწილეობას არ მოიცავს. დაინტერესებულმა პირებმა რეგისტრაციისთვის მხოლოდ 10 ლარი უნდა გადაიხადონ.

აღსანიშნავია, რომ ფონდი უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებას, შენახვა-გადამუშავებას; მექანიზაციისა და სატრანსპორტო საშუალებების, ნედლეულის გადამამუშავებელი და შესაფუთი დანადგარებისა და ხელსაწყოების შესყიდვას; ასევე მშენებლობასთან და ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასთან დაკავშირებულ ხარჯებს; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, ღორების, ცხვრების, თხების, ბოცვრების, ფრინველების შესყიდვასა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ კაპიტალურ ხარჯებს; თევზის მოშენებასა და საგუბრების რეაბილიტაციას; კენკრის, ვენახისა და მრავალწლიანი ნარგავების გაშენებას; ტურიზმის სექტორში ჩართული თემების შესაძლებლობების გაზრდასა და მათ დაფინანსებას.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით ქალბატონ მანანა ტაბაშიძეს. ტელ: 577 64 04 00;

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“

მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ᲔᲙᲐ ᲨᲐᲕᲘᲫᲔ; ᲢᲔᲚ.: 595-51-98-12